შეთანხმება #2
#NHC-20/03/2015-1- ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ.თბილისი 11.01.2016
წელი

ერთის მხრივ, სს "ნამახვანი" (შემდგომში "დამკვეთი"), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ჩაჩიბაიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „კოკს კონსტალტის საქართველოს ფილიალი" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის კარსტენ გრიზეს სახით,

(ერთობლივად წოდებულნი როგორც „მხარეები")

ვინაიდან,

- მხარეებს შორის 2015 წლის 20 მარტს დაიდო #NHC-20/03/2015-1 მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება");
- ხელშეკრულების 6.1. პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბოლოო ანგარიშსწორება უნდა მომხდარიყო საბოლოო ანგარიშის ექსპერტიზის და ექსპერტიზის შედეგების შესაბამისად შესაბამისი კორექტივების შეტანის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 90 დღისა;
- მიმწოდებლის საბოლოო დასკვნის ექსპერტიზაზე წარსადგენად და დასკვნის მისაღებად საჭირო გახდა გარკვეული ვადების დამატება
- და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეებმა 2015 წლის 19 ოქტომბერს დადეს შეთანხმება, რის საფუძველზეც გადაავადეს საბოლოო მიღება-ჩაბარების ხელმოწერის ვადა. დამატებით ვადაში დამოუკიდებელ ექსპერტიზას უნდა გაეცა დასკვნა მიმწოდებლის მიერ მომზადებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ექსპერტიზის თაობაზე, მაგრამ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს მიერ, ადგილი ჰქონდა 2 თვეზე მეტი პერიოდით დასკვნის მომზადების ვადის გადაცილებას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეებმა მიიჩნიეს მართებულად, ხელი მოაწერონ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს, გარკვეული პირობებით და შესაბამისად ცვლილება შეიტანონ არსებულ ხელშეკრულებაში შემდეგი შინაარსით:

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე (შემდგომში „შეთანხმება"):

1. შეიცვალოს ხელშეკრულების 6.1 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

   ,,6.1...

   „გ" საბოლოო ანგარიშსწორება - სახელშეკრულებო ღირებულების 40 %. აღნიშნული ღირებულების გადახდა მოხდება საბოლოო ანგარიშის შემსყიდველისთვის წარდგენის, აღნიშნული ანგარიშის ექსპერტიზის ჩატარების და ექსპერტიზის შენიშვნების გათვალისწინებიდან 2 კვირის ვადაში, მაგრამ არაუადრეს 2015 წლის 15

დეკემბრისა. ანგარიშის ექსპერტიზა უნდა დასრულდეს და მიმწოდებელს შენიშვნების გასასწორებლად წარედგინოს არაუგვიანეს 2015 წლის 20 ნოემბრისა. თუ დამოუკიდებელი ექსპერტიზა დაარღვევს საექსპერტო დასკვნის გაცემის ვადას, მხარეები ხელს მოაწერენ საბოლოო მიღება-ჩაბარების დოკუმენტს არაუგვიანეს 2016 წლის 15 იანვრისა, რის შემდეგადაც, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღსა, მოხდება სახელშეკრულებო ღირებულების 40 %-ის მიმწოდებლისთვის გადახდა. იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის შემდეგ, აღმოჩნდება, რომ მიმწოდებლის მიერ განხორციელებულ კვლევაში გასათვალისწინებელია გარკვეული შენიშვნები, მიმწოდებელი ვალდებულებას იღებს გაითვალისწინოს ისინი, შენიშვნების მიღებიდან 2 კვირის განმავლობაში.“

2. შეთანხმება ძალაში შედის 2016 წლის 11 იანვრიდან და მოქმედებს ხელშეკრულებათან ერთად.
3. ხელშეკრულების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.
4. შეთანხმებას უპირატესი ძალა აქვს ხელშეკრულების, მხარეთა ზეპირი შეთანხმებების და წერილობითი მიმოწერების, ასევე ნებისმიერი გარიგებების მიმართ, რომლებიც გამომდინარეობენ ხელშეკრულებიდან ან დაკავშირებულნი არიან მასთან. შეთანხმება აუქმებს აღნიშნულ დოკუმენტებში არსებულ ნებისმიერ დებულებას, რომელიც არ შეესაბამება შეთანხმებას.
5. შეთანხმება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად ქართულ ენაზე და გადაეცა თითო ყოველ მხარეს.

სს „ნამახვანი“

დირექტორი, გიორგი ჩაჩიბაია

შპს „კოკს კონსტალტის საქართველოს ფილიალი“

გენერალური დირექტორი, კარსტენ გრიზე